ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 22 მაისის სხდომის

ოქმი #3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის 22 მაისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 35 წევრი, სხდომას ესწრებოდა 19 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი გ. ბრეგვაძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. დეპარტამენტების ხელმძღვანელების დამტკიცება;
2. მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების დამტკიცება;
3. სადოქტორო ნაშრომების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება;
4. საბაკალავრო, სამაგისტრო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება;
5. მე-13 საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადების დამტკიცება;
6. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – დეპარტამენტების ხელმძღვანელების დამტკიცება. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო დეპარტამენტებში ჩატარებული დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნების შედეგები (იხ. დანართები 1 - დეპარტამენტების საარჩევნო კომისიების ოქმები). ბატონმა პეტრემ მადლობა გადაუხადა გეოგრაფიის დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს, პროფესორ დავით კერესელიძეს ნაყოფიერი მუშაობისათვის.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნ. შათაშვილმა. მან ისაუბრა დეპარტამენტების ხელმძღვანელების არჩევისას როტაციულობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე. განმარტება გააკეთა სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა პეტრე ბაბილუამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის დეპარტამენტების ახლადარჩეული ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტების ხელმძღვანელებად დამტკიცებულნი არიან:

1. ბიოლოგიის დეპარტამენტი - პროფესორი დიანა ძიძიგური;
2. გეოგრაფიის დეპარტამენტი - ასოცირებული პროფესორი გიორგი ბრეგვაძე;
3. გეოლოგიის დეპარტამენტი - ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია;
4. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი - პროფესორი გიორგი ღვედაშვილი;
5. კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტი - პროფესორი მანანა ხაჩიძე;
6. მათემატიკის დეპარტამენტი - პროფესორი ომარ ფურთუხია;
7. ფიზიკის დეპარტამენტი - პროფესორი არჩილ უგულავა;
8. ქიმიის დეპარტამენტი - პროფესორი იოსებ ჩიკვაიძე.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების დამტკიცება. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო დეპარტამენტებში ჩატარებული მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების არჩევნების შედეგები (იხ. დანართები 2 - დეპარტამენტების საარჩევნო კომისიების ოქმები). სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცვლილება მოხდა გეოლოგიის მუდმივმოქმედ კომისიაში და აირჩიეს კომისიის ახალი თავმჯდომარე. მან მადლობა გადაუხადა ყოფილ თავმჯდომარეს, ბატონ კარლო აქიმიძეს ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ახლადარჩეული მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები (იხ. დანართები 2):

- ***ბიოლოგია*** - თავმჯდომარე პროფ. დიანა ძიძიგური,
  მდივანი. ასოც. პროფ. მარიამ გაიდამაშვილი.

- ***გეოგრაფია*** - თავმჯდომარე პროფ. ზურაბ სეფერთელაძე,
  მდივანი. ასოც. პროფ. გიორგი მელაძე.

- ***გეოლოგია*** - თავმჯდომარე პროფ. თამარ წუწუნავა,
  მდივანი. ასოც. პროფ. ზურაბ ლებანიძე.

- ***კომპიუტერული მეცნიერებები*** - თავმჯდომარე პროფ. ალექსანდრე გამყრელიძე,
  მდივანი. ასოც. პროფ. ლელა ალხაზიშვილი.

- ***მათემატიკა*** - თავმჯდომარე პროფ. თამაზ თადუმაძე,
  მდივანი. ასოც. პროფ. ოთარ ჯოხაძე.

- ***ფიზიკა*** - თავმჯდომარე პროფ. ნანა შათაშვილი,
  მდივანი. ასოც. პროფ. გიორგი ციციშვილი.

- ***ქიმია*** - თავმჯდომარე პროფ. იოსებ ჩიკვაიძე,
  მდივანი. ასოც. პროფ. მარინა რუხაძე.

3. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მესამე საკითხის - სადოქტორო ნაშრომების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ სიტყვა გადასცა დეკანის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორ ვაჟა ტრაპაიძეს, რომელმაც დასამტკიცებლად წარმოადგინა სადოქტორო ნაშრომების თემები და ხელმძღვანელები. აღნიშნული ინფორმაცია წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო თემები და ხელმძღვანელები:

<u>სადოქტორო პროგრამა „ბიოლოგია“</u>

1. **დოქტორანტი: მარი გავაშელიძე**
   თემა: "საქართველოში გავრცელებული Clostridium botulinum-ის მოლეკულურ-გენეტიკური შესწავლა და სადიაგნოსტიკო მეთოდების სტანდარტიზაცია".
   ხელმძღვანელი: თეიმურაზ ლეჟავა, თსუ პროფესორი;

2. **დოქტორანტი: ანა-მარიამ კვაჭაძე**
   თემა: "გენომური არასტაბილურობა ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის დროს".
   ხელმძღვანელი: თეიმურაზ ლეჟავა, პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
   თანახელმძღვანელი: თამარ ცერცვაძე, ბიოლოგიის აკად. დოქტორი;

3. **დოქტორანტი: მერაბ სეფაშვილი**
   თემა: "III ტიპის ეპითელურ-მეზენქიმური გადასვლის პროცესში მონაწილე სასიგნალო გზების ინჰიბიტორების თერაპიული მიზნით გამოყენების შესაძლებლობის დადგენა".
   ხელმძღვანელი: დიანა ძიძიგური, პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
   თანახელმძღვანელი: ელენე ჩერქეზია, ბიოლოგიის აკად. დოქტორი;

4. **დოქტორანტი: ანი ქირია**
   თემა: "BK არხების იზოფორმების როლის შესწავლა პოლიფენოლების ზემოქმედებისას მაღალცხიმოვანი დიეტითა და სტრეპტოზოტოცინით გამოწვეული ღვიძლის პათოლოგიის მოდელში".
   ხელმძღვანელი: ზურაბ ქუჩუკაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის აკად. დოქტორი;

5. **დოქტორანტი: ცირა კაპანაძე**
   თემა: "ორექსინერგული სისტემის როლი ეპილეფსიის პათოფიზიოლოგიაში".
   ხელმძღვანელი: ნანული დორეული, პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

6. **დოქტორანტი: ნანო მიქაია**
   თემა: „გენომური მახასიათებლების შესწავლა ფილტვის კიბოს შემთხვევაში“.
   ხელმძღვანელი: თეიმურაზ ლეჟავა, პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
   თანახელმძღვანელი: თამარ ბუაძე, ბიოლოგიის აკად. დოქტორი.

<u>სადოქტორო პროგრამა „გეოლოგია“</u>

1. **დოქტორანტი: რეზო ვეკუა.**
   თემა: „ძირულის კრისტალური მასივის (კავკასია) კამბრიულამდელი მიგმატიტებისა და გნეისების მეტამორფიზმის ტემპერატურული პირობები“.
   ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ წუწუნავა;

2. **დოქტორანტი: გიორგი ხარაზიშვილი**
   თემა: „საქართველოს ეპითერმული ოქრო-სპილენძ-პოლიმეტალური გამადნების ზონალობა ბოლნისის, ძამა-ღართასა და მერისის მადნიანი რაიონების მაგალითზე“.
   ხელმძღვანელი: თსუ ალ. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე თვალჭრელიძე;

3. **დოქტორანტი: გიორგი დარჩიაშვილი**
   თემა: „ეპითერმული ოქროს და ოქრო-სპილენძის გამადნება წითელსოფლის საბადოს მაგალითზე(ბოლნისის მადნიანი რაიონი, ქვემო ქართლი)“.
   ხელმძღვანელი: თსუ ალ. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე თვალჭრელიძე.

<u>სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“</u>

1. **დოქტორანტი მიშიკო ოქროპირიძე**
   ნაშრომის დასახელება: „კვაზი-დაყვანადობის შეზღუდული ვერსიების სტრუქტურული თვისებები“.
   სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი როლანდ ომანაძე.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - საბაკალავრო, სამაგისტრო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ, რომელმაც დასამტკიცებლად წარმოადგინა საბაკალავრო, სამაგისტრო თემები და მათი ხელმძღვანელები. აღნიშნული ინფორმაცია წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 4).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საბაკალავრო, სამაგისტრო თემებისა და მათი ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო თემები და მათი ხელმძღვანელები (იხ. დანართი 4).

5. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - მე-13 საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად შესთავაზა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყოველწლიური (მეცამეტე) სტუდენტური კონფერენცია ჩატარდეს 2025 წლის 7-15 ივლისს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება მე-13 საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყოველწლიური (მეცამეტე) სტუდენტური კონფერენცია ჩატარდეს 2025 წლის 7-15 ივლისს.

6. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - მიმდინარე საკითხებში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

ა) 1. მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში განყოფილებების სახელების ცვლილება (ვ. ტრაპაიძე);

2. მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში პოლიმერების სინთეზის განყოფილებაში, მეცნიერ მკვლევარებად მანუჩარ გვარამიასა და მარინა სოსელიას მიღება. (ვ.ტრაპაიძე).

ბ) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ფორმების ცვლილება (გ.ბრეგვაძე).

ა) მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის გადაწყვეტილება, რაც ეხებოდა მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში განყოფილებების სახელების ცვლილებას (იხ. დანართი 5) და სთხოვა ამ ცვლილების დამტკიცება. გარდა ამისა, მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ამავე ინსტიტუტში პოლიმერების სინთეზის განყოფილებაში მეცნიერ მკვლევარებად მანუჩარ გვარამიასა და მარინა სოსელიას მიღების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში განყოფილებების სახელების ცვლილებისა და პოლიმერების სინთეზის განყოფილებაში მეცნიერ მკვლევარებად მანუჩარ გვარამიასა და მარინა სოსელიას მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

ა) დაადგინეს: მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში განყოფილებების სახელები შეიცვალოს დანართი 5-ის შესაბამისად, ხოლო

პოლიმერების სინთეზის განყოფილებაში მეცნიერ მკვლევარებად დამტკიცდეს მანუჩარ გვარამიასა და მარინა სოსელიას კანდიდატურები.

ბ) **მოისმინეს:** ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა გიორგი ბრეგვაძემ ისაუბრა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ფორმებში ცვლილებების შესახებ, რაც შეფასებას უფრო მოქნილს გახდის. კერძოდ, საბაკალავრო ნაშრომის კომისიის წევრების მიერ შეფასების და კრებსით უწყისებს დაემატა კომისიის წევრისა და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა, სადაც შეფასება განხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მითითებული ქულების განაწილებით, კონკრეტული პროგრამის შესაბამისად (აღსანიშნავია, რომ პროგრამების მიხედვით ქულების განაწილება განსხვავებულია).
სამაგისტრო ნაშრომის კომისიის წევრების მიერ შეფასების და კრებსით უწყისებს დაემატა კომისიის წევრის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების ფორმა, სადაც შეფასება განხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მითითებული ქულების განაწილებით, კონკრეტული პროგრამის შესაბამისად (იხ. დანართები 6).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა. უგულავამ, ნ. შათაშვილმა, გ. სირბილაძემ, ლ. მაჭავარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ფორმების ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

ბ) დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ფორმებში (იხ. დანართი 6).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი